ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის
ოქმი N16

ქ.ზუგდიდი **28 ივნისი 2023 წელი**
15:00 სთ

2023 წლის 28 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრები: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრები: ირაკლი გოგოხია(შვებულება), თაზო ფაცაცია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის წევრები: ბესიკ გაბუნია, ედიტა კოდუა, ბეჟან შანავა, ჯონი ჯიქია, ოთარ ქადარია, მანუჩარ ფიფია, ბესიკი ჭეჟია, დავით ფიფია.

სხდომას არ ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის წევრები: მალხაზ თორია, ირაკლი გოგოხია(შვებულება), თაზო ფაცაცია, პაატა ადამია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ეკატერინე კიფაია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

მერაბ ჭაჭუა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

დიმიტრი ფაცაცია-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორი;

……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე;

…….-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე;

……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს შესყიდვების სამსახურის უფროსი;

……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი;

…….-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი;

……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი;

……..-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს სასაფლაოების მართვის განყოფილების უფროსი;

…….-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს გარე-განათების ქსელის და წყალმომარაგების სისტემების მართვის განყოფილების უფროსი;
……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს გამწვანების და ბიოლოგიური მართვის განყოფილებნის უფროსი;
……-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
……-მდივანი;
სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ……..
სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 10 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს 2022 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დიმიტრი ფაცაცია-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით და კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად, ასევე ცალკე ეყარა კენჭი საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის სხდომის დღის წესრიგს, რასაც მხარი ერთხმად დაუჭირეს შესაბამისი კომისიის წევრებმა.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა სხდომის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 15 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს N11-2523046179 განცხადება (რეგისტრაციის N12-25230471-25 16.02.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს 2022 წლის ანგარიშს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს დირექტორს დიმიტრი ფაცაციას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია ააიპ-ის საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „მოგახსენებთ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მოგეხსენებათ კეთილმოწყობის მართვის ცენტრი ფართომასშტაბიან სამუშაოებს აწარმოებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ძირითადი მიმართულებებია: გარე განათება, გამწვანება, წყალმომარაგება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება და ა.შ.

წარმოგიდგენთ სტრუქტურას: დირექტორი, ორი მოადგილე და ცხრა განყოფილება.

1. ადმინისტრაციული განყოფილება.
2. ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილება.
3. საფინანსო - ეკონომიკური განყოფილება.
4. შესყიდვების განყოფილება.
5. ტრანსპორტი და ტექნიკა დანადგარების განყოფილება.
6. გამწვანებისა და ბიოლოგიური მართვის განყოფილება.
7. სასაფლაოების მართვის განყოფილება.
8. შრომის უსაფრთხოების განყოფილება.
9. გარე განათებისა და წყალმომარაგების სისტემის განყოფილება.

2022 წლის საშტატო განრიგი განისაზღვრა 282 საშტატო ერთეულით. შტატგარეშე პოზიციების რაოდენობა 24 ერთეული.

რაც შეეხება ბიუჯეტს 2022 წელს განისაზღვრა 4 379 000 (ოთხიმილიონსამასსამოცდაცხრამეტიათასილარი)ლარით. წლის განმავლობაში გაწეულ იქნა ხარჯი 4 352 854 (ოთხიმილიონსამასორმოცდათორმეტიათასრვაასორმოცდათოთხმეტილარი) ლარი. მათ შორის შრომის ანაზღაურება - 2 265 138 (ორიმილიონორასსამოცდახუთიათასასოცდათვრამეტილარი) ლარი. 2022 წელს ცენტრს მიღებული აქვს საკუთარი სახსრები 73 486 (სამოცდაცამეტიათასოთხასოთხმოცდაექვსილარი) ლარი. შემოსულობები არის ძირითადად მიწის იჯარის გადასახადებიდან, აგრეთვე ატრაქციონებიდან და სასაფლაოებიდან შემოსული თანხები.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნით 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაფორმებულია 175 ხელშეკრულება. შესყიდვის ჯამური ღირებულება შეადგენს 1 321 858 (ერთიმილიონსამასოცდაერთიათასრვაასორმოცდათვრამეტილარი) ლარს. აქედან საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 63 658 (სამოცდასამიათასექვსასორმოცდათვრამეტილარი) ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები 1 258 200 (ერთიმილიონორასორმოცდათვრამეტიათასორასილარი) ლარს.

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები: ელექტრონული ტენდერები 19 ხელშეკრულება, თანხობრივად 793 553 (შვიდასოთხმოცდაცამეტიათასხუთასორმოცდაცამეტილარი) ლარი.

გამარტივებული შესყიდვა-გაფორმდა 141 ხელშეკრულება, ჯამში 231 080 (ორასოცდათერთმეტიათასოთხმოცილარი) ლარი. ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმდა 15 ხელშეკრულება 297 225 (ორასოთხმოცდაჩვიდმეტიათასორასოცდახუთილარი) ლარი.

რაც შეხება **ადმინისტრაციულ განყოფილებას-** მომზადებულ იქნა 132 შრომითი ხელშეკრულების პროექტი, შრომითი შეთანხმება, 44 თანამშრომლის პირადი საქმის ფორმირება, 728 შიდა სამართლებრივი აქტი-ბრძანების პროექტი, მიღებულ იქნა 2 390 სხვადასხვა სახის კორესპონდენცია და აქტიურად მიმდინარეობდა ცენტრის საქმიანობის ინფორმაციის განთავსება ფეისბუქ გვერდზე.

შრომის უსაფრთხოების განყოფილება-თანამშრომლებს წარედგინათ შრომის უსაფრთხოების წესები და თემატური რეკომენდაციების ინსტრუქტაჟი, ცენტრის ყველა

ობიექტი აღჭურვილია სახანძრო არამექანიზებული ინსტრუმენტებით და ინვენტარით, ყველა ობიექტზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი. შესაძლო უბედური და საშიში შემთხვევების პრევენციის მიზნით მიმდინარეობდა სამუშაო პროცესზე დაკვირვება მუდმივ რეჟიმში.

რაც შეეხება კეთილმოწყობის მართვის ცენტრის საკუთრებაში არსებული ტექნიკა - დანადგარებს. ცენტრს გააჩნია 14 ერთეული სპეცტექნიკა, მათ შორის მძიმე ტექნიკა და მსუბუქი ავტოტრანსპორტი. სიახლე გვქონდა 2022 წელს, შევიძინეთ ტელესკოპური ამწე კალათა ერთი ერთეული (ექსპლუატაციაში არმყოფი), რომლის ღირებულება არის 153 370 (ასორმოცდაცამეტიათასსამასსამოცდაათილარი) ლარი.

შესრულებული სამუშაოები ჩანს სლაიდზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, მდინარის კალაპოტები **(მოხსენების პარალელურად მიმდინარეობს ფოტომასალის ჩვენება).**

სპეცტექნიკის მუხლუხა ბულდოზერის ბორბლიანი ექსკალატორის შესრულებულ სამუშაოებზე დაიხარჯა 13 929(ცამეტიათასცხრაასოცდაცხრა) ლიტრი საწვავი, რომლის ღირებულება შეადგენს 53 053 (ორმოცდაცამეტიათასორმოცდაცამეტილარი) ლარს. სპეცტექნიკის (ცენტრის ბალანსზე არსებული სრული ტექნიკა) სარემონტო და ტექნიკურ სამუშაოებში გაიხარჯა 154 676 (ასორმოცდათოთხმეტიათასექვსასსამოცდათექვსმეტილარი) ლარი.

ცენტრი მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა გარე განათების შეკეთების სამუშაოები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოველდღიურ რეჟიმში იცვლებოდა სანათები და ელექტრო სადენები, ამომრთველები და ყველა სხვა დეტალი რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განათებას. ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა შადრევნებისთვის წყალმომარაგების უზრუნველყოფა და მათ მოწესრიგება, დაქსელვა, ამ საქმიანობისთვის გაიხარჯა 33 421 (ოცდაცამეტიათასოთხასოცდაერთილარი) ლარი.

გამწვანების კუთხით შესყიდულ იქნა 4000 ძირი ჩითილი ღირებულებით 1200 (ათასორასილარი) ლარი. რუსთაველის ქუჩაზე გამყოფ ზოლზე ჩანაცვლებულ იქნა 65 ძირი ლეილანდის კვიპაროსი ღირებულებით 9750 (ცხრაათასშვიდასორმოცდაათილარი) ლარი. მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში შესყიდულ იქნა 72 428 (სამოცდათორმეტიათასოთხასოცდარვალარი) ლარის ღირებულების სხვადასხვა დეკორატიული ხე-მცენარე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 186 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა ხორციელდებოდა ყოველდღიურ რეჟიმში. მათი მოვლა-მოწესრიგება, შემოკავებითი სამუშაოები, ავარიული ხეების მოჭრა, მოთიბვა, ტერიტორიის დასუფთავება, სანიაღვრე არხების მოწყობა და დაზიანებული ღობეების რეაბილიტაცია.

2022 წლის პირველი იანვრიდან წლის ბოლომდე მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე გაცემულია სულ 4179 კვ/მ მიწის ნაკვეთი, აქედან დევნილებზე 227 კვ/მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც გაწეული მომსახურების საფასურად შემოსულმა თანხამ შეადგინა 49 626 (ორმოცდაცხრაათასექვსასოცდაექვსილარი) ლარი.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 194 ადამიანი, ძირითადად სასაფლაოების მოვლა-პატრონობის კუთხით.

კეთილმოწყობის კუთხით ჩატარდა სანიაღვრეები, შეღებვითი სამუშაოები, იერსახის მოწესრიგება, მინისტადიონების მოწესრიგება, საგზაო ნიშნების მოწესრიგება, შედუღებითი სამუშაოები და ა.შ.

2023 წლის საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაწეულ სამუშაოებზე ცენტრის მიერ ძალიან მცირე თანხა იქნა გახარჯული, სულ 1 615(ერთიათასექვსასთხუთმეტილარი)ლარი.“

აზრი გამოთქვა: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ორსანტიის N3 სასაფლაოსთან დაკავშირებით მინდა გაცნობოთ, იქ არავინ არ მოსულა და მომხდარა მისი დასუფთავება, ასევე არ არის შემოღობილი.“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „ჩვენ სამსახურში გვყავს მონიტორინგის ორი ჯგუფი და გავითვალისწინებთ თქვენს წინადადებას.“

აზრი გამოთქვა: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „მაინტერესებს უპატრონო (მიტოვებული) სასაფლაოებთან დაკავშირებით, ახორციელებთ მათ მოვლა-პატრონობას?

აზრი გამოთქვა: განყოფილების უფროსმა განმარტა: „ეტაპობრივად, შეძლებისდაგვარად ვახორციელებთ გაწმენდით სამუშაოებს.“

აზრი გამოთქვა: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „კახათის სასაფლაოების ტერიტორიაზე დასაქმებულთა (სოციალური მიმართულებით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში) ვინაობა თუ არის შესაძლებელი რომ მოგვაწოდოთ.“

აზრი გამოთქვა: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „კეთილმოწყობის კუთხით მაინტერესებს სანიაღვრე არხების მოწესრიგება თუ ხორციელდება?“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაფიამ განაცხადა: „ხდება ეტაპობრივად სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ასევე მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება და ადგილზე არსებული პრობლემების აღმოფხვრა.“

აზრი გამოთქვა: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გთხოვთ გაგვაცნოთ შრომის უსაფრთხოების განყოფილების ფუნქცია- მოვალეობები და სტრუქტურა.“

აზრი გამოთქვა: განყოფილების უფროსმა განმარტა: „ცენტრს რეგლამენტის შესაბამისად აქვს შრომის უსაფრთხოების განყოფილება, მე გახლავართ განყოფილების უფროსი, გვყავს სერთიფიცირებული სამი თანამშრომელი, რომლებიც ხელმძღვანელობენ შრომის უსაფრთხოების კანონით და ატარებენ თანამშრომელთა ინსტრუქტაჟს ყოველდღიურად, მუშაობის პროცესში მონიტორინგს უწევენ უსაფრთხოების კუთხით, სპეცტანსაცმლითა და სპეცაღჭურვილობით უზრუნველყოფას, შრომითი უფლებების დაცვა და ა.შ. ძირითადად ჩვენი განყოფილება უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის მონიტორინგს უბედური შემთხვევების პრევენციას. ჩვენს მუშაობას აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების ინსპექცია.“

აზრი გამოთქვა: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გარე განათებებთან დაკავშირებით ვიცით, რომ ტენდერი იყო გამოცხადებული და თუ იქნა შესყიდული ნათურები?“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „ჩვენ ყოველწლიურად ვაცხადებთ ტენდერს და ხდება შესყიდვა ათასობით ნათურის, და ავარიული ბოძების აღრიცხვას და ჩანაცვლებას ვახდენთ სისტემატურად და ეტაპობრივად.“

აზრი გამოთქვა: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ხომ არ ჯობია ცივი განათება ცუდი ხილვადობის გამო შეგვეცვალა თბილი განათებით?“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „ჩვენ ვგეგმავთ გამსახურდიას გამზირზე ივლისის თვეში მთლიანად განათების შეცვლას, შემდეგ ეტაპობრივად სხვა ლოკაციებზეც ჩანაცვლებას.“

აზრი გამოთქვა: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ჩვენს მიერ გაგზავნილ რეკომენდაციებში შტატებთან დაკავშირებით თუ გაითვალისწინეთ? თუ არის საჭიროება გყავდეთ ამ რაოდენობის თანამშრომელი.“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „ჩვენ სამსახურს ნამდვილად აქვს საჭიროება ყავდეს ამ რაოდენობის თანამშრომელი.“

აზრი გამოთქვა: მანუჩარ ფიფიამ აღნიშნა: „მაინტერესებს დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონის გამართულობა და ვის ბალანსზეა ეს ატრაქციონი?“

აზრი გამოთქვა: დიმიტრი ფაცაციამ განაცხადა: „ატრაქციონთან დაკავშირებით არანაირი დოკუმენტაცია არ არსებობდა იმ პერიოდისთვის, როდესაც ამ სამსახურში მოვედი. ატრაქციონის გამართულობის შესაფასებლად სამსახურმა გააგზავნა წერილი ექსპერტიზაზე შესაბამის უწყებაში და ველოდებით დასკვნას.“

აზრი გამოთქვა: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „როგორც ვიცი სამსახურს აქვს მხოლოდ ერთი გრეიდერი, რომელიც არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და თუ აპირებთ შეძენას?“

აზრი გამოთქვა: ედიტა კოდუამ აღნიშნა: „ჩემს სოფელშიც გვაქვს მუდმივად საჭიროება და ჩემი თხოვნაც იქნება შეძენილ იქნას აღნიშნული ტექნიკა, რადგან ყოველდღიური დაქირავება უფრო მეტი ხარჯია მუნიციპალიტეტისთვის. ასევე მინდა ინერტულ მასალებზეც ვთქვა და გაითვალისწინონ შესაბამისმა უწყებებმა, რადგან 5 და 7 მანქანა თითო სოფელს წლის განმავლობაში არ ყოფნის. და ბოლოს კეთილმოწყობის ცენტრს მთელ კოლექტივს მინდა მადლობა გადაგიხადოთ, იმიტომ რომ ძალიან შრომატევად და რთულ სამუშაოს ასრულებთ მთელი წლის განმავლობაში. მე არასდროს არ მქონია შეფერხება ამ სამსახურის მხრიდან. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.“

აზრი გამოთქვა: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „აქ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით შტატების შესახებ, შეგვიძლია გამოვითხოვოთ საშტატო ნუსხა, რათა მარტივად მოხდეს თანამშრომლების იდენტიფიცირება. მეორე საკითხი - ანგარიშში ბატონო დიმიტრი თქვენ ახსენეთ, რომ მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში 2022 წელს დაიხარჯა დაახლოებით 75 000 (სამოცდათხუთმეტიათასილარი) ლარის ფარგლებში. მერიიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია და მივიღეთ პასუხი, რომ 2022 წელს მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში სამუშაოები არ განხორციელებულა ტექნიკური გარემოებების გამო. აქედან გამომდინარე, მაინტერესებს რომელი ინფორმაცია არის სარწმუნო?“

აზრი გამოთქვა: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „ამ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ეს იყო 2021 წლის პროექტი და განხორციელდა 2022 წელს. ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 3 იანვარს.“

აზრი გამოთქვა: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „2022 წელს რატომ ჩავარდა პროექტის განხორციელების საკითხი?“

აზრი გამოთქვა: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „მწვანე ბიუჯეტთან დაკავშირებით არსებობს მუშა ჯგუფი, რომელმაც უკვე დამუშავებული და დაზუსტებული დოკუმენტაცია უნდა გადასცეს კეთილმოწყობის ცენტრს, თუ სად რა უნდა განხორციელდეს. 2022 წელს მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა.“

აზრი გამოთქვა: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „2022 წელს მწვანე ბიუჯეტის საბჭო ფუნქციონირებდა საკრებულოსთან, ჩვენ გადმოგვეცა მიმდინარე წელს. მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში შესაბამისი პროექტები. ჩატარდა სხდომა, სადაც დამტკიცდა შესაბამისი ბლანკები, მუშაობის წესები და ა.შ. ასევე, მოგახსენებთ პასუხებს აქ დასმულ კითხვებზე. კეთილმოწყობის სამსახური ძალიან დიდ სამუშაოს ეწევა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ თანამშრომელს იმ შრომისა და ძალისხმევისთვის, რომელიც ნამდვილად არის ძალიან დიდი დატვირთვა (24 საათიანი ფიზიკური შრომა). განყოფილებებთან დაკავშირებით მოგახსენებთ თუ რატომ არის ამდენი განყოფილება საჭირო. ქალაქის და თემის გაერთიანების დროს მოხდა ა.ა.ი.პ. - ების რაოდენობის შემცირება. იყო დრო რომ სასაფლაოების მართვის ცენტრი იყო ცალკე ააიპ. გაერთიანების დროს მოხდა განყოფილების ფორმირება კეთილმოწყობის ცენტრის ააიპ-ში. გამწვანების სამსახური შეიძლება ყოფილიყო ცალკე, მაგრამ წარმოდგენილია განყოფილების სახით, ასევე გარე განათების ქსელი მოიცავს 16 000 ბოძის მოვლა-შენახვას, რადგან როგორც საექსპლუატაციოდ, ისე ადმინისტრირების თვალსაზრისით ზუგდიდი არის ერთერთი ყველაზე რთული ჩვენს რეგიონში და არა ამარტო რეგიონში. ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის განყოფილება, რომელიც ოპერატიულად ახდენს რეაგირებას ნებისმიერ პრობლემაზე, საფინანსო განყოფილება, რომელიც განკარგავს უზარმაზარ ბიუჯეტს, შესყიდვები თავისთავად ცენტრისთვის აუცილებელია, ასევე ტრანსპორტის განყოფილება და ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც წარმოადგენს ქუდს ამ ყველაფრის. ყველა განყოფილება ამ ცენტრში ნამდვილად არის ფუნქციური და კითხვის ნიშანი ამ კუთხით

ნამდვილად არის თუ არა ესა თუ ის განყოფილება საჭირო არ უნდა არსებობდეს, დამეთანხმებით ალბათ, რადგან ყველა არის ფუნქციური. აქ იყო საუბარი სასაფლაოებზე და სანიაღვრე არხებზე. ჩვენ სანიაღვრე არხების გაწმენდას ვახორციელებთ ინტენსიურად, მაგრამ ყველას უნდა გვქონდეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ჩვენს ირგვლივ ტერიტორიის მოვლა-პატრონობის კუთხით."

აზრი გამოთქვა: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „მე საუბარი მაქვს ისეთ სასაფლაოებზე ვისი პატრონებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან."

აზრი გამოთქვა: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „აღნიშნული სამსახურის მოვალეობაში შედის საერთო ფართების მოვლა-პატრონობა. კერძო სასაფლაოების ჭირისუფალთან შეთანხმების გარეშე არ არის მიზანშეწონილი, თუნდაც გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება.

რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების განყოფილებას ეს არის კანონმდებლობით რეგულირებადი ნორმა, რომელიც წარმოადგენს ძალიან პოზიტიურ აუცილებლობას. ეს განყოფილება პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიერ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან აღებული ვალდებულების ფარგლებშია და შრომის ბაზარს და უსაფრთხოებას არეგულირებს.

გარე განათების მხრივ მინდა მოგახსენოთ, რომ არის გამოწვევები რიგ ქუჩებზე, რომლის ჩანაცვლება არის დაგეგმილი ეტაპობრივად. განათების უმაღლესი ხარისხი ამ ეტაპზე არის თაბუკაშვილის ქუჩაზე და როგორც აღვნიშნე ეტაპობრივად უნდა მოხდეს ჩანაცვლება.

რაც შეეხება ატრაქციონებს- არის ასეთი პროგრამა საქართველოს რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. გამოცხადებულია განცხადებების მიღება, გამოყოფილია 5 000 000 (ხუთიმილიონილარი) ლარი თითოეულ მუნიციპალიტეტზე. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ვგეგმავთ ატრაქციონების განახლებას.

მოგახსენებთ სასიხარულო სიახლეს, დასუფთავების სამსახურს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ საჩუქრად გადასცა ახალი JCB, რომელიც შევიდა ექსპლუატაციაში სამი დღის წინ. ამ ეტაპზე გაგვაჩნია ორი JCB, ორივე ემსახურება მუნიციპალიტეტის ინტერესს. ჩვენ შევიძინეთ გარკვეული რაოდენობის ტექნიკა, ამ ეტაპზე დგას საკითხი, შეძენილ იქნას თვითმცლელი.

მწვანე ბიუჯეტის საკითხს რაც შეეხება, აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია (ბუკლეტების დარიგება მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება), რომელშიც ჩართული არიან საკრებულოს წევრებიც.

რაც შეეხება ღორღსა (ხრეში) და ფერდობებს, წელს რამდენიმე სოფელში ფერდობების მოწყობის სამუშაოები განხორციელდება."

აზრი გამოთქვა: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „როგორც თქვენ აღნიშნეთ ააიპ-ის ბიუჯეტი თავდაპირველად დამტკიცდა 4 000 000 (ოთხიმილიონილარი) ლარი, შემდეგ პირველ ჯერზე დაემატა 170 000(ასსამოცდაათიათასილარი) და კიდევ 250 000(ორასორმოცდაათიათასილარი) ლარი, შემდეგ შემცირდა 40 000(ორმოციათასილარი) ლარით და წლის ბოლოს კიდევ შემცირდა 150 000(ასორმოცდაათიათასილარი) ლარით. ბიუჯეტი 190 000(ასოთხმოცდაათიათასილარი) ლარით რატომ შემცირდა, რომელ მუხლებს გამოაკლდა და სად მოხდა ამ თანხის გადატანა?"

აზრი გამოთქვა: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „ცენტრის ბიუჯეტი 40 000(ორმოციათასილარი) ლარით შემცირდა მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში, რადგან ვერ ხდებოდა გამოყოფილი 100 000(ასიათასილარი) ლარის ათვისება. რაც შეეხება 150 000 (ასორმოცდაათი ათასილარი) ლარს, ეს იყო ეკონომია ხელფასის მუხლში და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნა მერიის ბიუჯეტში."

აზრი გამოთქვა: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ეს არის დიდი რაოდენობის ნაშთი და შემდეგისთვის დაგვიკონკრეტეთ მუხლობრივად. რაც შეეხება საკუთარ შემოსავალს, საკასო შესრულებაში არის დანაკლისი 20 000 (ოცდათასილარი) ლარი. ამის შესახებ მოგვაწოდეთ ინფორმაცია."

აზრი გამოთქვა: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „მიზეზი არის, ის რომ სასაფლაოებიდან პროგნოზირება იყო უფრო მეტი შემოსავალის, მაგრამ შემოსული თანხა 20 000(ოცდათასილარი) ლარით ნაკლები აღმოჩნდა."

აზრი გამოთქვა: ბეჟან შანავამ აღნიშნა: „ჩვენ ამ ორი კვირის განმავლობაში თითქმის ყველა ააიპ-ის მუშაობის ანგარიში მოვისმინეთ (თუ სწორად მახსოვს დარჩენილია მხოლოდ ერთი ააიპ-ი). არც ერთი ააიპ-ის მუშაობაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო დასუფთავების და კეთილმოწყობის ააიპ-ები, რომლებიც არიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათი. „დახუჭული თვალითაც" ჩანს თუ როგორ მუშაობს ეს ორი სამსახური და როგორ არიან მობილიზებულები. ნებისმიერ სიტუაციაში, ყოველთვის 24 საათის განმავლობაში მზად არიან. მადლობა მინდა გადავუხადო სამსახურს და მის თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის."

აზრი გამოთქვა: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „ყველა ვთანხმდებით, რომ ეს არის სამსახური, რომელიც პოლიტიკური ნიშნით არ არჩევს გასაკეთებელ საქმეს. მეც მინდა მადლობა გადავუხადო კეთილმოწყობის სამსახურს."

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ დამატებით რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 8-გიგა ფარულავა, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა.

წინააღმდეგი: 2-გიორგი სორდია, კახაბერ ჩანგელია.

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში" შეფასდა დადებითად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია